

ბიძინა ივანიშვილი:

„უნიკალა, პატრიარქსაჲ შეუვალოს“

იხილეთ მე-5 გვერდზე



ირაკლი ბერძენაძე:

„სამწესაროდ, ქვეყნის ეკონომიკური გუნდი არის კალიან სუსტი“

იხილეთ მე-4 გვერდზე



ენცივით გაზეთი „PS“-ის განახლებულ საინფორმაციო ინტერნეტპორტალს www.psnews.ge-ს, ყოველდღიურად იკითხეთ ცხელ-ცხელი ამბები და იყავით ინფორმირებული!

„ომის კვირა“ ქუთაისის ოპერის თეატრში

როზა დვალისვილი: „ვედმედევა ავანტურისტია და ეს მალე დადასტურდება“

ხატია ვედმედევა: „როზა დვალისვილი „ნაციონალების“ ინსტრუმენტია...“

ქუთაისის მელიტონ ბალანჩივაძეების სახელობის თეატრში ბოლო დროს განვითარებული მოვლენების გამო განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში მოექცა ყოფილი და მოქმედი მმართველების ურთიერთბრალდებები, პასუხის პასუხები და პირადი განცხადებების საფუძველზე თანამშრომლების წასვლა თეატრიდან.

ამ პროცესებმა გასულ კვირას თეატრში კულმინაციას მიაღწია. რატომ იქცა კულტურის კერა ურთიერთდაპირისპირებების ტრიბუნად, რატომ მცირდება საშტატო ერთეული ან ვისთვის არის „თანამდებობა მორალზე მეტი“? – შევეცდებით მკითხველს ოპერის თეატრში „ომის კვირის“ ყველაზე მნიშვნელოვანი ამბები დეტალურად ვუამბოთ.

გასულ კვირას თეატრის ორმა თანამშრომელმა: საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის სპეციალისტმა მაკა ჯაჭანიძემ და არტ-მენეჯერმა, გვანცა ვაბუნიამ თანამდებობები ერთდროულად, პირადი განცხადებების საფუძველზე დატოვეს.

გაგრძელება მე-3 გვერდზე



რუსეთის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვისათვის რუსეთის პარლამენტი

იხილეთ მე-2 გვერდზე

„სნიკარსი“: „პარსი“ ჩაი „ლიტონი“... განმეორების უწყობილო პროდუქტების „შავი სია“

იხილეთ მე-5 გვერდზე

ზუსტად 95 წლის წინ. ქართულმა ჯარებმა სოჭი დაიკავეს

ასე დასრულდა საქართველოს მთავრობის უკანასკნელი მცდელობა, საუკუნეების შემდეგ, სოჭის ტერიტორია დაებრუნებინა

იხილეთ მე-7 გვერდზე

გვჭირდება თუ არა სუდონესი?

სუდონესის აშენების საკითხი კვლავ კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. ადგილობრივი მოსახლეობასა და ინვესტორ კომპანიას შორის შეთანხმება ჯერ კიდევ შედგა იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ სვანები სუდონესის აშენებას ეწინააღმდეგებიან.

„ხაიშელები უკვე ერთმანეთს უპირისპირდებიან“ — განაცხადა ენერჯეტიკოსმა მირონ ფირცხვლანამ სასტუმრო „თბილისი მერიოტში“ გამართულ დისკუსიაზე.

„მე იქ გახლდით, დილას ჩამოვედი სვანეთიდან. გუშინ გამართულ შეკრებაზე სოფლის მოსახლეობა ერთმანეთს დაუპირისპირდა. საქმე კინაღამ სისხლისღვრამდე მივიდა — თემების დაპირისპირებამდე მისული. სიტუაცია ისე დაიძაბა, რომ შეკრებაზე გადაწყვეტილება ვერ მიიღეს,“ — განაცხადა მირონ ფირცხვლანამ.

სასტუმრო „თბილისი მერიოტში“ ენერჯეტიკოსები, ეკონომისტები და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები სუდონესის აშენების მიზანშეწონილობაზე მსჯელობდნენ.

სუდონესის თემამ დაპირისპირება გამოიწვია სახალხო დამცველსა და ენერჯეტიკის მინისტრს შორის. სახალხო დამცველს, ხაიშის მოსახლეობის წარმომადგენლებმა, საკუთარი უფლებების დაცვის თხოვნით, რამდენიმე თვის წინ მიმართეს განცხადებით. როგორც ვაგრაველებულ განცხადებაში ნათქვამი, სახალხო დამცველის აპარატი უკვე რამდენიმე თვეა სწავლობს აღნიშნულ განცხადებას და ადამიანის უფლებების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით რეგულარულ მონიტორინგს აწარმოებს მიმდინარე პროცესებზე. დეტალურ ანგარიშს კი უნაწესად საზოგადოებას მარტში წარუდგენს.

„ქართული საზოგადოებისთვის

ცხადია, რომ, ერთი მხრივ, სვანეთის საზოგადოებისა და ხაიშის თემის, ხოლო მეორე მხრივ, ენერჯეტიკის სამინისტროსა და ინვესტორი კომპანიის პოზიციები რადიკალურად განსხვავდება ერთმანეთისგან და ეს რადიკალიზაციის პროცესი უფრო და უფრო ღრმავდება. სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ სუდონესის საკითხი ადამიანის უფლებების სრული დაცვითა და მხარეთა შორის კონსტრუქციული დიალოგით უნდა გადაწყდეს.

სახალხო დამცველის შეფასებით ენერჯეტიკის სამინისტროსა და ინვესტორი კომპანიის (ტრანსენერჯეტიკ გროუპის) უარი ხაიშის თემისა და სვანეთის საზოგადოების წარმომადგენლებთან შეხვედრასა და მოლაპარაკებაზე ხელს შეუშლის წარმოქმნილი ვითარების განმუხტვასა და პროცესის ჯანსაღ გარემოში წარმართვას“ — ნათქვამია სახალხო დამცველის განცხადებაში.

გაგრძელება მე-7 გვერდზე

გაბუთში პატიმრების ცემის ფაქტზე სახალხო დამცველი გამოძიების დაწყებას ითხოვს



იხილეთ მე-3 გვერდზე

ნინო ბურჯანაძე სასამართლოში

„დიდი უსამართლობაა, რომ აქ მარტო ვანო ზის...“



იხილეთ მე-2 გვერდზე

ქიმერიონი
კლამათი

წიგნების მაღაზია

მისამართი: ქუთაისი, „პოპულარ“; წიგნების მაღაზია „ქიმერიონი“; ტელ: (790) 927 927.



წიგნები შენ გელოდება!

ქუთაისი, საჯარო ცენტრი „პოპულარ“, წიგნების მაღაზია „ქიმერიონი“; ტელ: (790) 927 927.

„ოპის კვირა“ ქუთაისის ოპერის თეატრი

როზა დვალისვილი: „ვედმედევა ავანტურისტია და ეს მალე დადასტურდება“ ხატია ვედმედევა: „როზა დვალისვილი „ნაციონალების“ ინსტრუმენტი...“

პირველი გვერდიდან

თანამდებობა დაკარგულს დასაკარგი რომ აღარაფერი ჰქონდათ, უკომპრომიზო ბრალდებებზე ალბათ არაა დანაშაული.

გვანცა გაბუნია: „2013 წლის 13 სექტემბერამდე თეატრმა „ე.წ. ალა-ფურმეტი“ გააკეთა, რაც ვედმედევას თქმით, 7 ათასი ლარი დაჯდა და თანხას თეატრს „ვითიბი ბანკი“ უხდოდა. თუმცა, სალამოს ფოტოგრაფს თორნიკე ტურბელიძეს კუთვნილი თანხა 300 ლარი დღემდე არ მისცეს. რეალურად არავითარი დაფინანსება არ ყოფილა და თეატრს იმ ღონისძიებების გამო, დღესაც აქვს სასტუმროს ქსელ „ბაგრატი-1003“-ის დავალიანება 3000 ლარის ოდენობით. იმ სალამოს თბილისიდან 72-კაციან შემადგენლობას უმპასიხლეს, რომელთა ერთდამიანი მოსვენება სასტუმროში 12 ათასი ლარი დაჯდა.“



როზა დვალისვილი



ხატია ვედმედევა

რადგან თეატრი არ არის პოლიტიკური საღამოების ადგილი.“
ბრალდება პარტიულობაზე „მარაზ-მად“ შეაფასა თეატრის ყოფილი მმართველმა, **როზა დვალისვილი:** „რა ჩემი საქმეა „ნაციონალების“ დარბაზის დაქირავება? ეს არის მარაზი და ვწუხვარ, რომ ამ ადამიანის გამო თეატრი ნელ-ნელა იძირება და ამის საშუალებას არ მივცემ, რომ შევეწირო მანძი.“

ტაციისთვის 15 მილიონი ლარი იყო გამოყოფილი, ამათმა მხოლოდ 4 მილიონი დახარჯეს, თეატრში კატასტროფული მდგომარეობაა და მთლიანი შენობის 700 კვ. მეტრი დაკარგულია. გვითხრას, სად წავიდა სოლიდური თანხები ფართებთან ერთად?“

მე მას არ ვთვლი იმის ღირსად, მის ბრალდებებზე ვისაუბრო. კიდევ ერთხელ სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, ვედმედევა ავანტურისტია და ეს მალე დადასტურდება.“
„ეპითეტებით“ ვალში არც მოქმედი მმართველი დარჩა, „ადამიანი რომლისთვისაც თანამდებობა მორალზე მეტია და ადამიანი, რომელიც გოგი ჭიჭინაძეს არაკაცს უწოდებს, ჩემთვის თავად არის უღირსი, ხოლო მისი მმართველობის შედეგებს დღემდე ვიმკით.“

როზა დვალისვილი ბრალდებებს ასე უპასუხა: „როგორ ფიქრობთ, ამის მთქმელი შერაცხადია? მე ვაპირებ, ამ განცხადების გამო, სასამართლოში ვივივლო და მორალურ ზიანს ავიტოვებ, გარწმუნებთ. ამ ადამიანმა არც თეატრი იცის, არც ბიუჯეტი. მე მას ვუჩივლებ და მოვიხივებ 13 000 ამერიკულ დოლარს მორალური ზიანის კომპენსაციისთვის, რომელიც მისი ავადმყოფური აზროვნებით მომადგა. თანამშრომლებს ხელფასის გაზრდას პირადებოდა და მათ რაოდენობას საერთოდ ანახევრებს.“
შტატების და ხელფასის შემცირებას უარყოფს თეატრის მოქმედი მმართველი.

2011 წელს თეატრის რეაბილი-

არავითარი საშტატო და სახელფასო შემცირება ჩვენთან არ არის, ანაზღაურება თანამშრომლებს მიეცემა სწორი იურიდიული ფორმით. ასევე აღვნიშნავ, რომ ხელფასები გაიზარდა საბალეტო დასში (თუმცა ჩვენს გაზეთთან ადრე მიცემულ ინტერვიუში ვედმედევა საბალეტო დასის საერთოდ არარსებობაზე საუბრობდა. როგორც ჩანს, ამ მხრივ, თეატრში სასიკეთო ცვლილებები განხორციელდა, თუ არ ჩავთლით გასულ დღეებში თეატრის ყოფილი თანამშრომლის, მაკა ჯაჭანიძის განცხადებას: „თეატრში ბალეტის დასი დღემდე არ არსებობს“).“

თუმცა, საზოგადოების ინტერესი კვირეულის „უიარაღო ომების“ ფარგლებში ცალსახად ის ერთი ბრძოლაა, რაც ოპერის თეატრის მომავლის გაუმჯობესებას ეხება, და რაზეც ჩვენს გაზეთთან ახლად დანიშნული თეატრის მმართველი საუბრობდა. ჩვენ მას კონკრეტული დაპირება შევასვენეთ. ის ინტერვიუში აცხადებდა: „მე ვლებ პირობას, რომ მომავალი წლიდან თეატრში იქნება სრული ანშლაგი.“

რაზეც გვიპასუხა: „ბოლო დროს ბილეთები სპექტაკლებამდე 3-5 დღით ადრე იყიდება, თეატრი მაყურებელს ვეღარ იტყვს. ეს რა, არ არის ანშლაგი?“

როგორ გავრძელებდა ყოფილი და მოქმედი მმართველების ომი, ამას შემდგომი ბრძოლები აჩვენებს, იქამდე კი საზოგადოება ოპერაში ნამდვილ ანშლაგებს დაელოდება.

პაპა შალვაბერიძე

P.S. ხატია ვედმედევა პირველ ინტერვიუში იმასაც აცხადებდა, რომ ძალიან ბევრი მუსიკოსი უცხოეთში მზადაა, ყველაფერი მიატოვოს და ქუთაისის ოპერის თეატრში ჩამოვიდესო, თუმცა სამწუხაროდ, ჯერ ასეთი არავინ გვინახავს.

გაბუთში პატიმრების ცემის ფაქტზე სახალხო დამცველი გამომიხიბის დანაშაულის ითხოვს

2014 წლის 7 თებერვალს სახალხო დამცველი გვგუთის №14 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში განთავსებულ პატიმრებს შეხვდა. უჩა ნანუაშვილი ადასტურებს, რომ ამჟამად დაწესებულებაში 800-მდე პატიმარი შიმშილობს. საუბარში პატიმრებმა ძირითად პრობლემებზე გაამახვილეს ყურადღება. მათი მთავარი მოთხოვნაა, პირადად პროკურატურამ გამოიძიოს ციხის ადმინისტრაციის მხრიდან პატიმრებზე ფიზიკური ზეწოლის სამი ფაქტი.



უჩა ნანუაშვილი

თუ რა მდგომარეობაა ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით კონკრეტულ რეგიონში, — განაცხადა ნანუაშვილმა.

სახალხო დამცველმა არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს უახლოესი სამომავლო გეგმები გააცნო. როგორც შეხვედრაზე გავხილავთ, ერთ თვეში იგეგმება „საქციალური ანალიტიკური დეპარტამენტი“ შექმნა, რომლის თანამშრომლები მოამზადებენ სპეციალურ ანგარიშს რეგიონში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით.

„უნდა გაძლიერდეს რეგიონალური ოფისები და მათ დამოუკიდებლად უნდა შეეძლოთ გადაწყვეტილებების მიღება,“ — განაცხადა ნანუაშვილმა.

მისი თქმით, ამიერიდან, ყოველი თვის ბოლოს სახალხო დამცველი შეხვედრა ჟურნალისტებს და მათთან ერთად შეაჯამებს გასული თვის მუშაობის შედეგებს. ასევე თებერვლიდან, ყოველი თვის ბოლო პარაკეცს სახალხო დამცველის ოფისი, ეროვნულ ბიბლიოთეკასთან ერთად, გამართავს სახალხო დამცველის აქტიურობის თემებთან დაკავშირებით. პირველი ასეთი შეხვედრა ნანუაშვილმა 24 თებერვლისთვის დაანონსა, რომელიც, მისი თქმით, ხულონის მშენებლობის საკითხის განხილვას დაეთმობა.

უჩა ნანუაშვილი

სახალხო დამცველთან შეხვედრაზე პატიმრებმა ასევე მოითხოვეს, მოიხსნას ამანათების შეგზავნაზე ადმინისტრაციის მხრიდან დაწესებული შეზღუდვები და შეიცვალოს გრძელვადიანი პატიმრების დროს პატიმართა ოჯახის წევრების მიმართ ღირსების შემლახავი შემოწმების წესი.
პატიმრები უკმაყოფილო არიან საყოფაცხოვრებო პირობებით. მათ სურთ, ხელი მიუწვდებოდეთ დამაკმაყოფილებელ სამედიცინო მომსახურებაზე და გაიზარდოს სეირნობის ხანგრძლივობა.
სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ პატიმართა განცხადებები აუცილებლად უნდა იქნას გამოძიებული. ამ თხოვნით უჩა ნანუაშვილი შესაბამის უწყებას უახლოეს დღეებში მიმართავს.

პატიმრების მონახულების შემდეგ, სახალხო დამცველი იმერეთის რეგიონში მოქმედ არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიის წარმომადგენლებს შეხვდა.
შეხვედრაზე იმერეთში ადამიანის უფლებების დაცვის შესახებ ისაუბრეს, განიხილეს ამ საკითხთან დაკავშირებული პრობლემები, მიმდინარე ცვლილებები.
ნანუაშვილის განცხადებით, დიდი მნიშვნელობა აქვს მსგავს შეხვედრებს, რადგან მეტი ინფორმაცია ჰქონდეთ სამოქალაქო სექტორიდან.
„გვინდა, საზოგადოებასა და ხელი-სუფლებას შორის მედიატორის რო-

ლი შევასრულოთ და ხალხისთვის საინტერესო საკითხები მივაწოდოთ შესაბამის სტრუქტურებს.“
უჩა ნანუაშვილის თქმით, არაერთი მნიშვნელოვანი სახელე იგეგმება სამომავლოდ. მათ შორის, სახალხო დამცველის აპარატის რეგიონალური ქსელის გაძლიერება, ახალი თანამშრომლების მიღება, მჭიდრო ურთიერთობის დამკვიდრება არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან, ვინაიდან, მისი განცხადებით: „საჭირო და აუცილებელია არასამთავრობო ორგანიზაციებთან მჭიდრო ურთიერთობის დამყარება. ლოკალურ დონეზე მოქმედი ენჯო სექტორიდან შეგიძლია მიიღო უფრო მეტი ინფორმაცია,

სამართალდამცველებმა ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტი და ვეტერინარ-ექიმები დააკავეს

აღნიშნულის შესახებ ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოს უფროსმა გიორგი გრძელიშვილმა 7 თებერვალს გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

„საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა იმ უწყებათა საქმიანობა გადაამოწმა, რომლებსაც უშუალოდ ევალებათ ხორცპროდუქტების შემოწმება და მისი ვარგისიანობის დადგენა. ამ პროცესში საგამოძიებო სამსახურმა სერიოზული დარღვევები აღმოაჩინა.“

კერძოდ, საგამოძიებო სამსახურმა, სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსთან ერთად, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, სასამართლოს განჩინების საფუძველზე, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების და ყალბი დასკვნის გაცემის ფაქტზე, სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს ექსპერტი ეთერ ინასარიძე დააკავა.

გამოძიებით დადგინდა, რომ დაკავებულმა, 400 კგ ხორცპროდუქტების საკვებად ვარგისიანობის დადგენის მიზნით, ექსპერტიზის ჩატარების დროს, კვლევისათვის ნიმუშის აღებისას შეარჩია საქონლის ხორცის შედარებით უცეთესი ნაწილი, ხოლო ცუდი ვიზუალის და შეფერვლობის ხორცპროდუქტებს ექსპერტიზა განუხრახ არ ჩაუტარა, რის შედეგადაც ყალბი დასკვნა გასცა, რომელშიც საკვებად უვარგისი აღნიშნული ხორცპროდუქტები ვარგისიანად დააფიქსირა.

გარდა ამისა, ანალოგიურ საკითხთან დაკავშირებით, გამოვლენილია კიდევ რამდენიმე სამართალდარღვევა.

სამართალდამცველებმა, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ქრთამის აღების, სამსახურებრივი სიყალბისა და ყალბი ოფიციალური დოკუმენტების დამზადება-გასაღების ფაქტებზე, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სურსათის ეროვნული სააგენტოს ვეტერინარ-ექიმები — მიხეილ კაპანაძე, ვლადიმერ ჩუხრაუკიძე, თეიმურაზ მარხვაშვილი და მოქალაქეები — კახა კობახიძე და გიორგი გოგიშვილი დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ვეტერინარ-ექიმებმა მიხეილ კაპანაძემ, თეიმურაზ მარხვაშვილმა და ვლადიმერ ჩუხრაუკიძემ, ქრთამის აღების სანაცვლოდ, კანონმდებლობით დადგენილი წესების გვერდის ავლით, საქონლის ხორცის შემოწმების გარეშე გასცეს ვეტერინარული მოწმობები.

გამოძიებით ასევე დადგენილია, რომ სასაკლავო ორგანიზებისა და ფუნქციონირების სფეროში დასაქმებული შპს Crosslane investments limited-ის, თანამშრომელმა გიორგი გოგიშვილმა, რომელსაც არ ჰქონდა ექიმ-ვეტერინარის კვალიფიკაცია და შესაბამისად, საქონლის ხორცის დადამღვისა და სურსათის ვეტერინარული მოწმობის გაცემაზე სათანადო უფლებამოსილება, გარკვეული თანხის სანაცვლოდ მოქალაქეზე ყალბი ვეტერინარული მოწმობა გაასაღა.

რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ყველა შემთხვევითი სამართალდარღვევის შედეგად უვარგისი ხორცპროდუქტები სარეალიზაციოდ დასაბუთებულ ხელშეშობადა, რაც დროულად იქნა აღკვეთილი.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის და 370-ე მუხლის პირველი ნაწილებით, 338-ე მუხლის, 341-ე მუხლისა და 362-ე მუხლის პირველი ნაწილებით მიმდინარეობს, რაც სასჯელის სახით 3-დან 5 წლამდე, ასევე თავისუფლების 9 წლით აღკვეთის ითვალისწინებს, — განაცხადა გრძელიშვილმა.

ირაკლი ბერძენაძე:

„სამხაროდ, ქვეყნის ეკონომიკური გუნდი არის კალიან სუსტი“

გლობალური საკონსულტაციო და აქტივების მართვის კომპანია „I.B. Capital Management“-ის აღმასრულებელი დირექტორი ირაკლი ბერძენაძე საქართველოში მიმდინარე ეკონომიკურ და ფინანსურ საკითხებზე „პოსტსოციალიზმი“-თან საუბრისას მნიშვნელოვან განცხადებებს აკეთებს. მას საკმაოდ კრიტიკული შეხედულებები აქვს საქართველოს ხელისუფლების ეკონომიკური გუნდის საქმიანობის შესახებ და უარყოფითად აფასებს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს. ჩვენ მას რამდენიმე საკითხზე კითხვით მივმართეთ.

— ბატონო ირაკლი, როგორ შეაფასებდით საქართველოს ეკონომიკურ სიტუაციას?

— საქართველო არათუ დღეს, არამედ სამწუხაროდ, ბოლო წლების მანძილზე ძალიან რთულ ეკონომიკურ სიტუაციაში იმყოფება, რაც აისახება რეალურად ძალიან ცუდად ქვეყნის მოსახლეობის სოციალურ მდგომარეობაზე. ეკონომიკური სიტუაციის შეფასება რომ დაგიწყოთ, რეალურად, აღნიშნული შორს წაგვიყვანს, მაგრამ, რაც საერთოა, იმის მიხედვით ქვეყანა სავალალო მდგომარეობაში იმყოფება. მეტიც, მე პირადად შევადარებდი საქართველოს აფრიკის დონის ქვეყნებს, სადაც ზოგიერთ ქვეყანაში ჩვენსაირი ალოგიკური სიტუაცია არის, ჩვენსა და გასაკვირად კი, ჩვენზე წინ არიან კიდევ. სამწუხაროდ, ჩვენი ქვეყანა მეზობელი ქვეყნებისგან განსხვავებით გამოირჩევა ძალიან დაბალი მშპ-რეზერვებით. მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო ბანკის მონაცემებით საქართველოში ბიზნესის კეთება არის მარტივი, ეს არ აისახება ქვეყნის საერთო ეკონომიკურ ფონზე, ინვესტიციების შემოღობვაზე.

„მათ აღნიშნულის თავიდან აცილება შეეძლოთ, დოლარის ბაზართან შესატყვისი რაოდენობით გამოტანის შემთხვევაში, რაც არ გააკეთეს იმ დროს, როცა ამის საჭიროება იყო“

სოციალური მდგომარეობა მძიმდება დღითიდღე. ქვეყანა დამოკიდებულია იმპორტირებულ პროდუქტებზე, იმ ფონზე, როდესაც მოსახლეობის საშუალო შემოსავალი არ იზრდება, ვერ ვაწარმოებთ მატერიალურ დოვლასს, ამ ყველაფერს კი ბოლო პერიოდში დაემატა ვალუტის გაუფასურება, რაც, ჩემი აზრით, არის უმძინავეს წყლის მანანტულობა ეროვნული ბანკიდან. მათ აღნიშნულის თავიდან აცილება შეეძლოთ, დოლარის ბაზართან შესატყვისი რაოდენობით გამოტანის შემთხვევაში, რაც არ გააკეთეს იმ დროს, როცა ამის საჭიროება იყო და როდესაც მსოფლიო ბაზარზე დაიწყო სავალუტო სტაგნაცია (ლარის გარდა აღნიშნულ სიტუაციაში ჩავარდნილი თურქული ლირა, არგენტინული პესო, ინდური რუპია).

ყველა ამ სიკეთესთან ერთად, თუ თვალს გადავავლებთ საქართველოს ექსპორტ-იმპორტის მაჩვენებლებს, ვნახავთ, რომ ამ კუთხით ქვეყანა მძიმე კრიზისს განიცდის. ამას ამძიმებს ის სიტუაცია, რომ, სამწუხაროდ, ქვეყნის ეკონომიკური გუნდი არის ძალიან სუსტი, არ შესწევთ ძალა ის გაფუჭებული და გაპარტახებული ეკონომიკა, რომელიც წინა, სრულიად უუნარო და არაპროფესიონალმა ხელისუფლებამ დატოვა, მცირედით მაინც განავითაროს. მე ვერ ვხედავ ფინანსთა მინისტრის და ეკონომიკის მინისტრის შემხვედრ ნაბიჯებს, რომ პირიქით დადებდად შემობრუნდეს, მაგრამ ისიც რეალურად აღსაქმელია, რომ ერთ დღეში არსებული სიტუაციის გამოსწორება შეუძლებელია. ის პროცენტი, რაც იდება ეკონომიკური ზრდის კუთხით, ეს არის ციფრების თამაში, ამას ფაქტობრივად მოსახლეობა ვერ იგრძნობს, ამიტომ



აუცილებელია ქვეყნის ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის შემუშავება და კონკრეტული სფეროების გამოყოფა, რათა მოხდეს მათი სტიმულირება, რასაც, სამწუხაროდ, დღესდღეობით ვერ ვხედავ. ერთადერთი ყველაზე დიდი მონაპოვარი, რაც არ შეიძლება არ ავლნიშნო, ეს არის ბიზნესის თავისუფლება. თუ წინა ხელისუფლების დროს ბიზნესი თავისუფალი მხოლოდ მსოფლიო ბანკის მონაცემებში იყო ფურცელზე, დღეს რეალურად არის ბიზნესი თავისუფალი, შიში დაძლეულია - ეს კი დიდი გამარჯვება და მონაპოვარია ხელისუფლების პირველი პირების და არა ცალკეული მინისტრების, რომლებიც სრულიად ქაოტურად ახორციელებენ ეკონომიკური პროცესების მართვას და მთელ რიგ შემთხვევაში ვერ მართავენ.

— რა ხდება საინვესტიციო პოლიტიკის კუთხით? თანინვესტირების ფონდის შესახებ რა კომენტარს გააკეთებდით?

— თანინვესტირების ფონდი — მე ძალიან სკეპტიკურად ვარ განწყობილი ამ ფონდზე, ნაკლები ინფორმაცია, ნაკლები ხელმისაწვდომობა, არანაირი გამოყოფილი დარგები, 6 მილიარდი ფონდში არ ნიშნავს, რომ ამით საქმე გაკეთდა, ან გაკეთდება. მე უფრო ვისურვებდი, მეტი ინფორმაცია იყოს მათი საქმიანობის შესახებ, მეტი ავტაცია, რომ ფართო მასშტაბის იყოს მისაწვდომი და არ გახდეს აღნიშნული ფონდი ჩაკეტილი სივრცე. აი, როგორც არის, მაგალითად, ჩინეთში ე.წ. ჩინეთის საინვესტიციო კორპორაცია, რომლის მთლიანი აქტივი 409 მილიარდი იუნია (დაახლოებით 6 მილიარდი დოლარი), მაგრამ თქვენ რომ დაინტერესდეთ, თუ რომელ პროექტებს ახორციელებს აღნიშნული ფონდი, რომელიც სახელმწიფოსთან ასოცირდება, ერთ კომპანიას ვერ იპოვით, რომელსაც ფონდიდან რაიმე სახის ფინანსური რესურსი მიეღოს. ამიტომაც საჭიროა — მეტი განმარტება მოსახლეობას, თუ ეს არის სახელმწიფო დანიშნულებისთვის ფონდი - მაშინ ხალხს აქვს უფლება, იცოდეს, სად, რა და რისთვის მოითხოვონ, რომ განავითარონ თავიანთი ბიზნესი. მაგრამ, თუ ეს არის კერძო საინვესტიციო ფონდი, მაშინ ეს უკვე მესაკუთრების გადაწყვეტილებაა და ამ შემთხვევაში მათ საინვესტიციო პოლიტიკაში ჩარევის და გაკიცხვის უფლება არაა არ აქვს.

რაც შეეხება საინვესტიციო პოლიტიკას — ამ კუთხით მძიმე სიტუაცია გვაქვს. ფაქტობრივად, ქვეყანას არ აქვს საინვესტიციო პოლიტიკა, არ არის გარკვეული მექანიზმები შემუშავებული, რომელიც ინვესტორს გარანტიას

მისცემს, რომ მათი ინვესტიცია ქვეყანაში იქნება დაცული. რეალურად, სამწუხაროდ, დღეს საქართველოში არის ყველა ის რისკფაქტორი, რაც საერთო ჯამში ინვესტიციებს აფერხებდა, მაგრამ ეს რისკები შეუძლია შეამციროს ხელისუფლებამ, ამისთვის კი საინვესტიციო პოლიტიკა არის აუცილებელი და აღნიშნული უნდა იყოს მორგებული განვითარებული ქვეყნების მოთხოვნებზე და არა იმაზე, თუ ჩვენ რა გვინდა. დღეს საერთაშორისო ბიზნესი კარნახობს თამაშის წესებს, რომელსაც, თუ მივიღებთ, ინვესტიციები ამოიყვანს საქართველოს არსებული მუდმივი კრიზისიდან. წინააღმდეგ შემთხვევაში, გარდაუვალია კიდევ რამდენიმე ათეული წელი არსებულ მდგომარეობაში ყოფნა. უკანასკნელ პერიოდში ენერჯეტიკის კუთხით მოხდა ინვესტიციების ძვრა. ეს ძალიან კარგი და იმედისმომ-

ცემი არის, ძალიან ბევრ პლუსს მისცემს ქვეყანას, რადგან ენერჯეტიკაზე ვაღიანებთ ნებისმიერი წარმოება, ამიტომაც ვფიქრობ, რომ კარგი საინვესტიციო პოლიტიკის პირობებში, სადაც უნდა მოხდეს ინვესტირებისთვის ზუსტი და მათზე მორგებული საგადასახადო პირობების შეთავაზება, შესაძლებელია ინვესტიციების ზრდა, მაგრამ ინვესტირები არ შემოდიან ქვეყანაში ორ-სამ წელიწადში, ინვესტიციებს ზოგჯერ ხუთი ან უფრო მეტი წელიც დასჭირდება. მაგალითისათვის: ჩემთვის პირადად მისაბაძია იაპონური, ამერიკული, კორეული ინვესტიციები, რადგან ვფიქრობ, ეს არის ის ინვესტიცია, რაც ჩვენ ქვეყანას სჭირდება და რაც, სამწუხაროდ, არ არის, მაგრამ აღნიშნული ქვეყნებიდან ინვესტირები იმდენად დაკვირვებულნი არიან, შემიძლია ვითხრა, რომ საქართველო მათ მოთხოვნის 10%-საც ვერ აკმაყოფილებს, რადგან, ერთის კუთხით, არ არის საკანონმდებლო ბაზა დახვეწილი, არაფერ არის გარანტი მათი ბიზნესის უსაფრთხოების და, რაც მთავარია, ქვეყანაში საბანკო სივრცე არ არის იმ დონეზე განვითარებული, რომ ინვესტორმა შეძლოს თუნდაც სამი-ოთხი მილიარდიანი კაპიტალის გადმოღობვა. მარტივი მაგალითისთვის წარმოვიდგინეთ: საქართველოში „ტოიოტამ“ გადმოიტანა თავისი ქარხანა თურქეთიდან და ამით აღმოსავლეთ ევროპის ბაზარზე გახსნა მიმწოდებელი საქართველოს სახით — ეს მშვენიერია და იდეალური. მაგრამ, მოდით, სხვა კუთხით, პრობლემატური კუთხით შევხედოთ: საქართველოს აქვს კი ის ენერჯეტიკული რესურსები, რომლითაც შეიძლება დააკმაყოფილოს

ის მოთხოვნა, რაც ექნება აღნიშნულ ქარხანას? არის კი ინფრასტრუქტურა განვითარებული? რას ვთავაზობთ ჩვენ მათ, რაც გადააწყვეტინებს მათი ქარხნის ადგილის შეცვლას? საერთო ჯამში ძალიან ბევრი საკითხია და აღნიშნული ორ-სამ დღეში არ მიიღწევა. მაგრამ, სამწუხაროდ, მხოლოდ პრემიერ-მინისტრი ახორციელებს საქართველოს საინვესტიციო პროპაგანდას და დანარჩენი ეკონომიკური გუნდი არაფერს აკეთებს.

— რა ხდება საკრედიტო რესურსების თვალსაზრისით საქართველოში?

— ამ კუთხით ბანკებს აქვს ჭარბი ლიკვიდურობა, მაგრამ არ აისახება საკრედიტო პორტფელის გაზრდაზე. ბანკები გადასული არიან საცალო გაყიდვებზე და ორიენტაცია არ არის აღებული ბიზნესის დაკრედიტებაზე, განსაკუთრებით კი — სტარტ-აპების დაკრედიტებაზე, რაც არის, იმდენად კაბალური პირობებია, უფრო წააგავს არა ბანკი-კლიენტის ურთიერთობას, არამედ უძრავი ქონების იაფად ხელში ჩაგდებას მცდელობას, ბანკის მიერ გარკვეული კრედიტის გაცემის გზით.

მაგრამ მეორე საკითხია, რამდენად მისაწვდომია კრედიტი და რა ფასად, უღირსი კი ბიზნესის საკრედიტო ტვირთის აღება? ჩემი აზრით, ამ სიტუაციაში ბიზნესისთვის საკრედიტო ტვირთის აღება არის გაუაზრებელი ნაბიჯი, რომელიც საკმაოდ მოკლევადიან პერიოდში უფრო უარეს შედეგს გამოიღებს, ვიდრე შეიძლება განსაზღვროს წინასწარ.

ყოველდღე გაუაზრებელია ის საკითხი, რომ ბანკი ბიზნეს-სესხის გაცემის დროს გირაოში დებს არათუ კომპანიის საკუთრებაში არსებულ უძრავ-მოძრავ ქონებას, არამედ ინდივიდუალური პირების ქონებასაც (საუბარი არის მესაკუთრების), რაც, მეტწილად, რეალური გასაცემი თანხის ორმაგ-სამმაგ ოდენობას აღწევს. ჩემი პროგნოზი საკმაოდ მძიმეა ამ კუთხით საქართველოსთვის, რადგან უკანასკნელ თვეებში უკვე ბევრ განვითარებულ ქვეყნებში: აშშ-ში, ავსტრალიაში, ახალ ზელანდიაში, დიდ ბრიტანეთში, გერმანიაში, კანადაში, სადაც იყო იაფი საკრედიტო რესურსები შეინიშნება საკრედიტო რესურსების გაძვირება, რაც აუცილებლად აისახება საქართველოზეც, რადგან, ძირითადად, აღნიშნული ქვეყნებიდან მოდის საქართველოს საბანკო სივრცეში იაფი კრედიტი ბანკებისთვის. უკანასკნელ პერიოდში უკვე დომინირებს აზრი მსოფლიო ფინანსურ ინსტიტუტებში, რომ 2027 წლისათვის მოხდება საკრედიტო რესურსების 20-40%-იანი ზრდა,

რაც საქართველოს სინამდვილეში, მოგეხსნებათ, რამდენად მტკივნეული იქნება პროცენტების მხრივ როგორც საბანკო, ასევე, სამწუხაროდ, არასაბანკო ფინანსური ინსტიტუტების საკრედიტო პროდუქტებზე.

— მნიშვნელოვანი საკითხია ე.წ. სამემოსავლო გადასახადების საკითხი, რას იტყვით ამ საკითხზე?

— ამ კუთხით ხელისუფლების ყველაზე დიდი გამარჯვება იქნება, თუ შექმნის პროგრესულ სამემოსავლო გადასახადის სისტემას, ეს იქნება ის გამარჯვება, რომელიც სოციალურ მდგომარეობას გააუმჯობესებს და გარკვეული კუთხით მოსახლეობის მსყიდველობითუნარიანობას გაზრდის. ამისათვის სასურველი იქნება, თუ მიზანძვს ისეთი ქვეყნების გამოცდილებას, როგორც არის ჰონ კონგი, სინგაპური. სინგაპურს ამ კუთხით იდეალური სამემოსავლო გადასახადო სისტემა აქვს. არ შეიძლება 20% იხდიდეს ის, ვისაც აქვს წლიური შემოსავალი 10 ათასი და ის, ვისაც აქვს 50 ათასი. ამას გარდა აუცილებელია, ქვეყანაში შემოვიდეს სამემოსავლო გადასახადის გადახდის დროს დაანგარიშების ე.წ. ამერიკული სტელი, რაც გულისხმობს ადამიანის მიერ თვის განმავლობაში გაწეული გადასახდელებით სამემოსავლო გადასახადის შემცირებას — აღნიშნული სქემა მოქმედებს აშშ-ში და საკმაოდ წარმატებულად, ხოლო ბიუჯეტში მათ არანაირი ზარალი არ ადგება. მეტიც, ამუშავებს ეს ეკონომიკას. ადამიანს, რომელსაც აქვს ყოველთვიური შემოსავალი 1000 ლარი და აქედან ის იხდის ბანკის სესხში 200 ლარს, დაზღვევაში 50 ლარს, შვილების სწავლის გადასახადში გარკვეულ თანხას და ასევე თუ ის იხდის ე.წ. საპენსიო დანახვევის თანხას, ეს ხარჯები უნდა იყოს დაუბეგრავი და უნდა აკლდებოდეს მის ხელფასს, ხოლო დაბეგრის ობიექტი უნდა იყოს უკვე დარჩენილი თანხა, რომელიც არის უკვე თავისუფალი ფულადი რესურსი ყოველდღიური ხარჯების დასაფარავად. ეს ის მოდელია, რომელიც სტიმულს მისცემს ადამიანს, ნაკლები გადაიხადოს, ბიზნესს მეტი საშუალება შეექმნას, რაც, თავისთავად, ბიზნესს განავითარებს, თავიანთებს კი საგადასახადო კუთხით ტვირთს მოუხსნის. ვასულ წელს ფინანსთა სამინისტრომ გააკეთა ე.წ. „ნოუ ჰაუ“, რომლითაც რეალურად 500 ლარამდე შემოსავლის მქონე პირებს უბრუნდებათ გადახდილი გადასახადი, მაგრამ ის დათვლა, რაც მათ მოახდინეს, ან კუთხითაც ხდება გადახდილი გადასახადის დაბრუნება, არის სრულიად გაუგებარი და საღ აზრს მოკლებული. აუცილებელია, მოხდეს ლავირება გადასახადის პროცენტსა და თანხობრივ ბარიერს შორის. უნდა მოხდეს 0%-დან ათვლა საგადასახადო განაკვეთების, ეს აუცილებელია. წინააღმდეგ შემთხვევაში, ტვირთი იქნება ეს მოსახლეობისთვის.

— საქართველოს ეკონომიკა ბევრად უფრო ცუდად ვითარდება, ვიდრე ბევრი აფრო-ამერიკული და აზიური სახელმწიფოს ეკონომიკა, რომელი სახელმწიფოს მოდელი გამოადგება საქართველოს?

— საქართველოს გამოადგება მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ის მოდელი, რომელიც აქვს თურქეთს, ტაივანს, ჰონ კონგს, ახალ ზელანდიას, სამხრეთ კორეას, ჩილეს, ურუგვაის, მაკედონიას, არაბთა გაერთიანებულ ემირატებს, მალაიზიას, სლოვენიას, ირლანდიას. სწორედ აღნიშნულის ნაზავი იქნება ქართული ეკონომიკის განვითარების საწინდარი და სტიმული. რაც შეეხება საგადასახადო კუთხით — უმჯობესი იქნება, თუ ქვეყანა გაიზიარებს იმ მოდელს, რომელიც აქვს ჰონ კონგს, ტაივანს, სინგაპურს, ჩილეს.

ესაუბრა როლანდ ხოჯანაშვილი

ბიძინა ივანიშვილი:

„შეიძლება, პატრიარქსაც შეეშალოს“

ბიძინა ივანიშვილი „მოქალაქის“ პრეზენტაციაზე ჟურნალისტის იმ შეკითხვასაც უპასუხა, რომელიც პატრიარქის ეპისტოლეს იმ ნაწილს შეეხება, სადაც ილია მეორე ხელოვნური განაყოფიერებისა და სუროგაციის შედეგად დაბადებულ ბავშვებს პრობლემატურებს უწოდებს. ივანიშვილის განმარტებით, ის უდიდეს პატივს სცემს პატრიარქს, თუმცა, ამ აზრს არ ეთანხმება.

მისივე განცხადებით, ეკლესიას აქვს ტაბუდადებული თემები, მაგრამ საზოგადოებას შეუძლია, ის გადალახოს. თავად ეკლესიაშიც არის პრობლემები, იქაც შეიძლება შეეშალოს და იყოს დარღვევები. ზოგჯერ ეკლესიის წარმომადგენლებიც საჭიროებენ კრიტიკას — განაცხადა ივანიშვილი.



პატრიარქმა შეიძლება, თქვას, მაგრამ ჩვენ არ გავიზაროთ. ეს ნორმალურია. არ გვინდა ეს დოგმები. როდესაც ორ მეთოდს საშუალება არ აქვს შეიძლოს, ამას ვეძიებთ. ახლა ჩვენ შეიძლება, იყოს დარღვევები და გაუგებრობები ეკლესიაშიც. ნუ გეშინიათ ამაზე საუბრის. ისინი საჭიროებენ კრიტიკას, მინიშნებას და მითითებას.

რაც შეეხება სუროგაციის თემს, ივანიშვილის აზრით, აღნიშნული საკითხი საკამათოა.

„შეიძლება, სუროგაციაზე იყოს საკამათო. ამაზე კანონმდებლობას დახვეწა სჭირდება. ამან გამოიწვია პოლემიკა ევროპის ქვეყნებშიც. პრობლემატურია ეს საკითხი — კომერციალიზაცია ამ თემით თუ დახმარება და ა.შ. სადებატოა სუროგატული დღის თემა,“ — აღნიშნა ივანიშვილი.

ბიძინა ივანიშვილი
psnews.ge

ბიძინა ივანიშვილი („მოქალაქის“ დამფუძნებელი): „ჩვენ პატივს ვცემთ ისტორიას, ტრადიციებს, მართლმადიდებლობას. პატივს ვცემ პატრიარქს, მაგრამ საზოგადოებამ უნდა გადალახოს ბარიერი, რომ ეს თემა არის ტაბუდადებული და იქ რაც ითქმება, არის უმწიკლო და ხელშეუხებელი. პატრიარქი ბრძანებს თუ სხვა ეკლესიის მსახური, ეს დამოკიდებულება, ჩემი აზრით, არის ზედმეტად გაფხვირებული და გადაჭარბებული. ეს არ უნდა იყოს ასე. არ საჭიროებს ამას არც პატრიარქი და არც ეკლესია. ეკლესიაში იგივე პრობლემებია, რაც საზოგადოებაში და არ არის ნაკლები. ასეც უნდა იყოს. ეკლესიის

მსახური არიან ჩვენი თანამოქალაქეები, მათი სამსახური არის ის და იქ აკეთებენ თავის მოვალეობას.

დამოკიდებულება, რაც საზოგადოებაში არსებობს, რომ ეკლესიის თემა არის ტაბუდადებული, ჩემი აზრით, არის შეურაცხყოფელი ჩვენი საზოგადოებისთვის და არ არის სწორი საზოგადოების ეს დამოკიდებულება. ისევე შეიძლება, შეეშალოს იქაც და მოხდეს იქაც ცუდი ამბები. ასევე შეიძლება, იყოს დარღვევები და გაუგებრობები ეკლესიაშიც. ნუ გეშინიათ ამაზე საუბრის. ისინი საჭიროებენ კრიტიკას, მინიშნებას და მითითებას.

რაც შეეხება სუროგაციის თემს, ივანიშვილის აზრით, აღნიშნული საკითხი საკამათოა.

რა ანუხებთ ევროპაში გადახვენილ ქართველებს?

„ღმერთო, მომეცი მოთმინება, რომ ავიტანო ის, რისი შეცვლაც არ შემიძლია, გამბედაობა, რომ შევცვალო ის, რაც შემიძლია და გონიერება, რომ განვასხვავო ერთი მეორისაგან“ /კურტ ვონეგუტი/

„ღმერთო, მოგვეცი მოთმინება“...

საქართველოს ევროპაში წოდებული დამოუკიდებლობის მოპოვებიდან სულ ცოტა ოცი წელია გასული და აღარც ტერიტორია და აღარც მოსახლეობა შერჩა „ვერცხლის ტყავზე გაწოლილ“ ქვეყანას. აფხაზეთსა და სამაჩაბლოში ქართველი აღარ არსებობს და ეს ფაქტი არც არავის უჩენს საფიქრალს. ამერიკაში მყოფებს რა უჭირთ! გერმანიაში, საფრანგეთსა და ინგლისში მხოლოდ ფულიანი ქართველები ცხოვრობენ და იმათაც რა უჭირთ! საბერძნეთსა და იტალიაში მყოფ ქართველებს კი მოთმინება მიეცი ღმერთო!

პულია იტალიის სამხრეთ ნაწილში მდებარე რეგიონია. ტერიტორიით საქართველოს ტოლი. აქ ქართველი ემიგრანტთა რაოდენობამ რვა ათასს



ზურაბ ლომაძენი და ქალაქ ბარის პარტიკულარები

გადააჭარბა. ნაწილი — დროებითი პასპორტით, დიდი ნაწილი — დოკუმენტაციის გარეშე, ძირითადად ქალები. უკანასკნელი ათი წლის მანძილზე ემიგრანტი ქართველი ქალების 90 პროცენტის წარმომადგენელია სერიოზული საფრთხის ქვეშაა. ათობით ქალბატონმა ფსიქიური აშლილობით დატოვა იტალია, ათობით ქალბატონმა გაიკეთა

მკერდის ამპუტაცია და საშვილოსნოს ამოკვეთა, დანარჩენებს კი სახსრების და ხერხემლის პრობლემები აწუხებთ. იტალია კაპიტალისტური ქვეყანაა და სამედიცინო მომსახურება საკმაოდ დიდი თანხა ჯდება. დროშიც არანორმალურად იწელება და ქართველთა სიკვდილიანობაც შესამჩნევი ხდება.

„შევცვალეთ ის, რისი შეცვლაც შეიძლება“...

დღეს უკეთუბრება ისე მომრავლდა ქვეყანაზე, რომ სიყვითლე დაუჩერებელი ფენომენი გახდა, სიყვითლე დაუჩერებელი კი სანთლით საძებარი, მაგრამ თურმე...

ქუთაისის სამედიცინო კლინიკის დირექტორი, ბატონი ზურაბ ლომაძენი ორი კვირით ეწვია ქალაქ ბარს და ოთხსაათიანი შეხვედრის მოსმინა, გასინჯა, დანიშნულება და რჩევა-დარიგება მისცა. ბარის ქართველობა ფეხზე დადგა. არავის სჯეროდა, რომ ეს ღვთისნიერი კაცი უფასოდ, უანგაროდ იხარჯებოდა და საოცარი მზრუნველობით ხვდებოდა ფეხზე მოსიარულე, უფრო მეტიც, მძიმე სამუშაოებზე მყოფ ავადმყოფ ქართველ ქალბატონებს.

ნანა ხურციძე: „ბატონი ზურაბის მოწვევის გადაწყვეტილების მიღება რამდენიმე მეგობრის თანადგომით შეეძლებოდა. ქალბატონმა თინათინ ჭელიძემ თავის თავზე აიღო ვიზასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარება.“

გაგრძელება მე-6 გვერდზე

„სნიკერსი“, „მარსი“, ჩაი „ლიპტონი“... გენმოდიფიცირებული პროდუქტების „შავი სია“

გენმოდიფიცირებული საკვები პროდუქტები გენური ინჟინერიის შედეგად არის მიღებული.

გენური ინჟინერია ჩვეულებრივ გულსხმობს უჭრადულ დონეზე ხელოვნური მანიპულაციის შედეგად საჭირო გენის ერთი სახეობის ორგანიზმიდან სხვა, არამონათესავე ორგანიზმში გადატანას; შესაძლებელია ადამიანის გენის გადატანა ცხოველებში და — პირიქით. საქართველოში ასეთი პროდუქტების შემოტანა 1996 წლიდან დაიწყო. ბოლო წლებში ცნობილი გახდა ზოგიერთი გამოკვლევის შედეგები, რომლებიც ცოცხალ ორგანიზმებზე გენმოდიფიცირებული პროდუქტების უარყოფით ზეგავლენას ადასტურებს.

როდესაც ადამიანის ორგანიზმში ასეთი პროდუქტი ხვდება და ამას სისტემატური ხასიათი აქვს, ეს მასში მთელ რიგ გენურ ცვლილებებს, ნივთიერებათა ცვლის მოშლას, კუჭ-ნაწლავის სისტემის დაავადებებსა და სხვა პათოლოგიებს იწვევს. საერთოდ, გენმოდიფიცირებული ორგანიზმები

ცოცხალი ორგანიზმებია, ამდენად, გამრავლებით, გავრცელებითა და საკუთარი გენების გადაცემის უნარით გამოირჩევა. ისინი ადამიანისთვის უცხო ხელოვნური ნივთიერებებით

არიან გაჯერებული. მაგალითად, არსებობს ვირთავგასენიანი კომბოსტო, თევზისგენიანი პომიდორი და უამრავი სხვა ამგვარი. 2004 წლიდან ევროპის ქვეყნებში მიიღეს კანონი, რომლის თანახმადაც, გენმოდიფიცირებულ პროდუქტებს სპეციალური ნიშნები მიენიჭა, რის შედეგადაც

მოსახლეობას ეძლევა საშუალება, თავად გააკეთოს არჩევანი გენმოდიფიცირებულ და ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტებს შორის. მეცნიერები და მედიკოსები გენმოდიფიცირებული პროდუქტების ე.წ. „შავ სიას“ აქვეყნებენ, რომელიც განსაკუთრებით საზიანოა ბავშვებისთვის.



1. შოკოლადი ჰერშელი
2. შოკოლადი „მარსი“ და M.M-სი
3. სნიკერსი
4. „ტვიქსი“
5. „კედლური“
6. „ფერერო“
7. რუსული შოკოლადი „Нестле“
8. Coca-Cola
9. პეპსი
10. სუპი „კამბელი“
11. სოუსი „კნორი“
12. ჩაი „ლიპტონი“
13. ორცხოობილა „პარმალატი“
14. იოგურტი, კეფირი
15. საბავშვო სასმელი „ნესტლე“
16. McDonald's-ის საკვები
17. შოკოლადი, ჩიპსი.

მსუბუქი ავტომობილის სავალდებულო ტექნიკური დათვალიერება მაქსიმუმ 48 ლარი ეღირება

სავალდებულო ტექნიკური დათვალიერების საკითხზე შსს-ს მომსახურების სააგენტოში „TUV Rheinland Group“-ის წარმომადგენელთან ერთად ბრიფინგი გაიმართა.

როგორც შსს სამინისტროს მომსახურების სააგენტოს დირექტორმა ოთარ დანელიამ განაცხადა, ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური შემოწმების პრაქტიკა საქართველოში დღეს ჩვეულებრივ მოქმედებს, თუმცა მსუბუქი ავტომობილებისთვის აღნიშნული მომსახურებით სარგებლობა სავალდებულო არაა.

„ტექნიკური დათვალიერება სავალდებულოა მხოლოდ ავტობუსებისა და მალაწონიანი ავტომობილებისთვის და ეს მომსახურება სხვადასხვა კატეგორიის ავტომობილის მიხედვით 48-დან 102 ლარამდე ღირს. ის სავალდებულო ტექნიკური დათვალიერება, რომელიც 2015 წლის 1 მარტიდან შევა ძალაში, იმაზე ძვირი არ ეღირება, ვიდრე ეს დღეს არის. მსუბუქი ავტომობილებისთვის ამ მომსახურების საფასური მაქსიმუმ 48 ლარი იქნება. ჩვენ მთელი ბიზნეს-გეგმა იმ გარემოებიდან გამომდინარე ავაწყვეთ, რომ მომსახურების ფასი არ გაიზარდოს,“ — განაცხადა დანელიამ.

მისივე თქმით, ჯერჯერობით, არაა დადგენილი, თუ რა პერიოდულობით მოუწევთ ავტოსატრანსპორტო საშუალებების მფლობელებს სავალდებულო ტექნიკური დათვალიერებით სარგებლობა.

დღესვე დაწესდა იმ სტანდარტებზეც ისაუბრა, რომელთა დაკმაყოფილება ავტომობილებს მოუწევთ.

„მაგალითად, თუ ავტომობილი პირობითად „ევრო 1“-ის სტანდარტით არის გამოწვეული, არ აქვს მნიშვნელობა ეს ავტომობილი რომელიწლიანია, მან სწორედ „ევრო 1“-ის სტანდარტები უნდა დააკმაყოფილოს და არა სხვა. ეს რთული არ არის, მაგალითისთვის, გეტყვით, რომ 2013 წლის ოქტომბერ-ნოემბერში სპონტანური შემოწმება ჩატარდა და 14 ავტომობილიდან მხოლოდ ერთმა ვერ დააკმაყოფილა საერთაშორისო სტანდარტები. ახალს არავინ არაფერს იგონებს,“ — განაცხადა დანელიამ.

რაც შეეხება „TUV Rheinland Group“-ის თანამშრომლობას ტექნიკური დათვალიერების მომსახურების ცენტრების მფლობელებთან, როგორც დანელიამ აღნიშნა, ეს საკითხი განიხილება.

„გამორიცხული არაა, რომ ეს თანამშრომლობა ფრანჩაიზინგის ფორმით განხორციელდეს. განიხილება ასევე ქირობა, ყოფიან და მოუქმედებელი ოპერირება,“ — აღნიშნა დანელიამ.

მისი ინფორმაციით, საქართველოში დღეს ავტომობილების ტექნიკური დათვალიერების მომსახურების 24 ობიექტი მოქმედებს.

pia.ge



უზვიდობასთან ბრძოლის აპერიკული ხარისხი უკვე ქუთაისშია

ქართულ-ამერიკული რეპროდუქციული კლინიკა რეპროარტი

უშვილო წყვილებს ნანატი ოცნების ახდენა უკვე ქუთაისში ქალაქიდან გაუსვლელად შეეძლება. სწორედ ამ მიზნით, რობაქიძის ქუჩა №11-ში, ქართულ-ამერიკული რეპროდუქციული კლინიკა რეპროარტის ფილიალი დაარსდა. კლინიკის კადრები დაკომპლექტებულია ექიმებითა და ემბრიოლოგებით, რომლებმაც სტაჟირება მსოფლიოს სხვადასხვა წამყვან კლინიკებში გაიარეს.


ლიკა ჭყონია (კლინიკა რეპროარტის ხელმძღვანელი): „წარმატების და მაღალი ხარისხის გარანტი უპირველესად კვალიფიციური კადრები და ულტრათანამედროვე აპარატურაა, ეს სინთეზი ჩვენს კლინიკაში თბილისში უკვე არსებობს და ამიერიდან მსგავს მაღალი დონის შედეგებზე ორიენტირებულ მომსახურებას პაციენტებს უკვე ქუთაისში სახლიდან გაუსვლელად ვთავაზობთ.“

ნანა ჯანელიძე-ყურაშვილი (კლინიკა რეპროარტის რეპროდუქციოლოგი, მეან-გინეკოლოგი): „ამერიკული ხარისხი და თითოეულ პაციენტთან ინდივიდუალური მიდგომა წლების მანძილზე ჩვენი კლინიკის წარმატებული მოღვაწეობის გარანტიაა. კლინიკის ძირითადი მიმართულება ინ ვიტრო განაყოფიერებაა, ამასთან მკურნალობა მოიცავს ყველა იმ სფეროს, რომელიც ქალის ჯანმრთელობას ემსახურება. ჩვენს კლინიკაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ასევე მამაკაცის ფაქტორს, მამაკაცის უშვილობის დროს მკურნალობა ხდება სპერმის ას-

პირაციით და სხვადასხვა შესაბამისი მეთოდებით. ჩვენი კლინიკის ქუთაისის ფილიალში ემკურნალობენ ნებისმიერ გინეკოლოგიურ პრობლემას. გთავაზობთ ანალიზების ფართო სპექტრს, მათ შორის ჰორმონალურ კვლევებს. ქალის და მამაკაცის, ასევე მუცლის ღრუს ორგანოების და ფარისებრი

ჯირკვლის ულტრაბგერით დიაგნოსტიკას.
თეონა თუთუბერიძე (კლინიკა რეპროარტის ქუთაისის ფილიალის რეპროდუქციოლოგი, მეან-გინეკოლოგი): „კლინიკაში განსაკუთრებული გარემოა, როგორც პაციენტებისთვის, ასევე ექიმებისთვისაც. თითოეული უშვილო პაციენტის გამოკვლევებსა და დიაგნოზის დასმაზე ერთობლივად ვმუშაობთ კლინიკის თბილისელი და ქუთაისელი ექიმები, რაც ჩვენს საქმიანობას დადებით შედეგებზე ორიენტირებულს ხდის.“
• დიაგნოსტიკის და მკურნალობის

მსოფლიო სტანდარტები
• პროფესიონალიზმი
• ულტრათანამედროვე ემბრიოლოგიის ლაბორატორია
• პაციენტის პრობლემისადმი ინდივიდუალური მიდგომა
• თანამედროვე კომფორტული პირობები
• კონფიდენციალობის დაცვა
ყველა ამ ტიპის მომსახურებას პაციენტებს კლინიკა რეპროარტი ამერიკულ კოლეგებთან ერთად გაუწევს, რაც უშვილობასთან ბრძოლაში მათი წარმატების გარანტიაა. კლინიკაში დაგროვილი ცოდნა, გამოცდილება



და ულტრათანამედროვე აპარატურა, საქართველოდან და უკვე იმერეთიდან გაუსვლელად უშვილო წყვილებს მკურნალობის ამერიკულ ხარისხს სთავაზობს, რაც ნიშნავს იმას, რომ პაციენტებს ინტენსიურად შორი მანძილის გავლის ნაცვლად, ნაკლები დროისა და ფინანსური დანახარჯების პირობებში საუკეთესო სერვისების მიღება შეეძლება. კლინიკა უახლოეს მომავალში რეგიონის პაციენტებისთვის სხვადასხვა ტიპის აქციებსაც გეგმავს.

აპა ზალაზხარიძე



რა ანუხებთ ევროპაში გადახვენილ ქართველებს?

მე-5 გვერდიდან

ბატონმა გიორგი მაჭყვებლაძემ სამუშაო ოთახი გამოქვანა, ხოლო ქალბატონმა თამარ ფხაკაძემ თავისთან ისტუმრა და შეძლებისდაგვარად ცხოვრების პირობები მოუხვარა.

ექიმის პროფესია თავისთავად ჰუმანური პროფესიაა, მაგრამ ბატონ ზურაბის პიროვნულმა ჰუმანიზმმა, პროფესიონალიზმმა და ადამიანებთან ურთიერთობის ხელოვნებამ გაცილებით მოიყვანა სამშობლოდან გადმოხვეწილი ქართველები. აქაურ გულგრილობას, ხშირად არაადამიანურ მოპყრობას შეგუებულნი მოკრძალებით შედიოდნენ და თვალცრემლიანი გამოდნენ ექიმის სახელდახელოდ შექმნილი კაბინეტიდან. „თურმე კიდევ არსებობს მაღალი და სიკეთე, თურმე კიდევ არსებობენ ადამიანები, რომლებსაც შეუძლიათ სითბო და სიყვარული უფასოდ და უანგაროდ ჩამოაროგონ“ — ამბობდნენ და ცრემლებს ვერ მალავდნენ. არ ვიცი, ალბათ, რაღაც კარგი, საღვთო საქმე გაკეთდა.

„საკონსულომ ის თუ იცის, რამდენი ემიგრანტი ჰყავს და, საერთოდ, თუ ვინმეს გადააფარა მფარველობის კალთა...“

ნელი ქავთარაძე: „ზურაბ ლობჯანიძეს აქ ბევრი პაციენტი ჰყავს, რომლებიც აქედან უკავშირდებიან. ტელეფონით უხსნიან საკუთარი ჯანმრთელობის პრობლემებს და ტელეფონით ლეზულობენ სამედიცინო რჩევებს. აქ ჩამოსვლით მან კიდევ უფრო მეტს გაუწია საჭირო და აუცილებელი დახმარება. გამოიყენა თან ჩამოტანილი თავისი მედიკამენტები. სამწუხაროა, რომ ბარის ემიგრანტი ქართველები მოუშვადებელი შეხვდნენ ქართველი ექიმის ჩამოსვლას. ზოგ-ზოგიერთები კითხულობდნენ: საკონსულომ იცის მისი ვიზიტის შესახებ? რა სასაცხოლოა...“

საკონსულომ ის თუ იცის, რამდენი ემიგრანტი ჰყავს და, საერთოდ, თუ ვინმეს გადააფარა მფარველობის კალთა. იმდენად მიტოვებულად ვგრძობთ თავს, რომ მზად ვართ ბოდიში მოვუხადოთ საქართველოს ხელისუფლებას, რომ ჯერ კიდევ ცოცხლები ვართ.“

ნარგიზა ბელთანიძე: „მე ექიმის ოჯახიდან ვარ, შვილიც ექიმი მყავს და კარგად ვიცი ამ პროფესიის ფასი. ბატონმა ზურაბმა კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ ამაზე კეთილშობილი საქმე არ არსებობს, განსაკუთრებით, როცა ამ საქმეს უკეთილშობილესი ადამიანი აკეთებს. რამდენიმე დღის წინაშესადაც საკმარისი აღმოჩნდა, რომ ყველას გასაგონად ვთქვა: უფალო, უმრავლეს ქართველობას ასეთი ადამიანები! პირადად მე არ-თორიზი მაქვს უხეზებს და აქაურმა კლიმატმა, ცხოვრების არანორმალურმა დატვირთვამ კრიტიკულ სიტუაციამდე მიმიყვანა. უკვე ტკივილის შიშის ქვეშ ვცხოვრობ. ბატონმა ზურაბმა გულდაგულ გამისინჯა, მომისმინა, ჩემს სამკურნალო თვითდაინიშნულებას გადახედა, აქაურ აფთიაქებში შესაბამისი წამლები მომიძებნა და იმდენად კარგად ამისხნა ამ ავადმყოფობის ღია და ფარული მოვლენები, რომ შემიძლია სხვებსაც ვურჩიო და ტკივილების შემსუბუქებაში მივეხმარო. ისიც საკმაოდ დიდი შეღავათია, რომ ბატონმა ზურაბმა ყველას გადასცა სავიზიტო ბარათი და უფასო კონსულტაციების მიღების საშუალება მოგვცა იტალიიდან — ქუთაისში. მაღლობა ძალიან უბრალო სიტყვაა, მაგრამ მაღლობა, ბატონო ზურაბ!“

თამარ ფხაკაძე: „ბარის რეგიონში ქართველთა სიმრავლე დიდი ხანია

დღის წესრიგში აყენებს სათვისტომოს ჩამოყალიბების აუცილებლობას. მრევლის შექმნამ, ქართული წირვა-ლოცვის ჩატარების უფლების მოპოვებამ რაღაც იმედი გააჩინა, რომ კიდევ უფრო მეტი გაკეთდებოდა აქ მყოფი ქართველების დროებითი ცხოვრების გასაუმჯობესებლად. არა, ქართულ დროშას ხშირად აფრიალებენ საღვთო და საღვთო, მაგრამ ამასაც ვიღაცები საკუთარი ინტერესებისთვის იყენებენ. ფაქტობრივად, მიტოვებული არიან ქართველი ბავშვები, რომელთა რაოდენობა დღითიდღე მატულობს. ავადმყოფი და პატიმარი (საუბედუროდ) ქართველები. მიცვალებულების გადასვენებაც კი ვიღაცების სარგებელზე არის გათვლილი.“

არ მივივს — ქართველს ყოველთვის უჭირდა საკუთარი რელიგიის გატანა, მაგრამ ის, რაც აქ ხდება, ფარულად აღარ ეტყვა. ყველა ამ უბედურების ფონზე ბატონ ზურაბ ლობჯანიძის ჩამოსვლა დღის მოვლენილი მაღალი იყო. ეს არის არაჩვეულებრივი პიროვნება და ექიმი, უბრალო ადამიანებთან ურთიერთობაში საოცრად მოკრძალებული და თავის საქმეზე შეყვარებული.“

„ბარის რეგიონში ქართველთა სიმრავლე დიდი ხანია დღის წესრიგში აყენებს სათვისტომოს ჩამოყალიბების აუცილებლობას...“

კურთხეული. მისი თხოვნა იყო, იმედი და რწმენა ჩამომეტანა, ჩემი პროფესიული მოვალეობა მომეხდა და სამომავლო გზები გამომეხანა, რომ ცოტა უკეთ იგრძნონ თავი ქართველთა ემიგრანტებში. ჩვენი პატრიარქის ლოცვა-კურთხევა შეგეწიოთ. მაღლობა მათ, ვინც ჩემი ჩამოსვლა დადებითად

ზურაბ ლობჯანიძე: „ჩემი სამედიცინო მოღვაწეობის ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე ამდენი თვითმკურნალობაზე მყოფი პაციენტი ნამდვილად არ მყოფია. აქ უამრავი პრობლემა არსებობს ქართველი ემიგრანტებისთვის: შეზღუდვა დროში, რადგან, ძირითადად, 24-საათიანი სამუშაოთი არიან დატვირთული, ექიმის ვიზიტი გარკვეულ თანხებთან არის დაკავშირებული და ეს თანხა 50 ევროთი იწყება; ენის ბარიერი, რადგანაც სამედიცინო ენაზე ელაპარაკო ან გელაპარაკონ, ადვილი არ არის; წამლები, რომელთაც იტალიის სამედიცინო სამინისტრო იყენებს, განსხვავდება ჩვენი ფარმაკოლოგიისგან, რაც ხშირად უარყოფითი შედეგებით მთავრდება. ჯანმრთელობაზე დიდად მოქმედებს ჯანდაცვის და სამსახურეობრივი დატვირთვა. ბოლოს კი, სამშობლოდან შორს ყოფნა — ოჯახისგან, საყვარელი ადამიანებისგან.“

მე იმდენ ფეხზე მოსიარულე მძიმე ავადმყოფს შევხვდი, რომ დამიჯერეთ, მე თვითონ მივედიარ დაავადებული სულიერადაც და ფიზიკურადაც. ვწუხვარ, რომ ამდენი ქართველი ემიგრანტი ასე უყურადღებოდ არის მიტოვებული საქართველოს ხელისუფლებისგან.“

ჩემი აქ ჩამოსვლა საქართველოს პატრიარქის მიერ იყო კურთხეული. მისი თხოვნა იყო, იმედი და რწმენა ჩამომეტანა, ჩემი პროფესიული მოვალეობა მომეხდა და სამომავლო გზები გამომეხანა, რომ ცოტა უკეთ იგრძნონ თავი ქართველთა ემიგრანტებში. ჩვენი პატრიარქის ლოცვა-კურთხევა შეგეწიოთ. მაღლობა მათ, ვინც ჩემი ჩამოსვლა დადებითად

შეუფასა და ამ ორი კვირის მანძილზე მუშაობის საშუალება მომცა.

„უფალო, მოგვეცი გონიერება“...

დიდი ხანია, საქართველოს ე.წ. გონიერი ადამიანები უფრონოდ მართავენ. დიდი ხანია, ქართველი გონიერს და უგუნურს ვერ არჩევს. დიდი ხანია, ქართველმა კაცმა სიკეთის კეთებით გამოწვეული ბედნიერების განცდა დაკარგა, ალბათ, ამიტომ ვჯახირობთ ამდენს, ალბათ, ამიტომ გვყავს ამდენი ემიგრანტი, დევნილი, თვითმკვლეელი და ქვეყნის მკვლეელი.“

რვა ათასმა ქართველმა ვერ შეძლო სათვისტომოს ჩამოყალიბება, ვერ შეძლო ერთ მუშტად გაერთიანება, ქართული ყივლი — „უჩინებელი ვით იმღერეთო“ — აქაც ძალაში რჩება. გაუტანლობა, ორგულობა, გულგრილობა, ზიზღი და ირონია მური და სიაცე არც აქ აკლიათ ქართველებს. თუ ქართველი თავის თავში ქართველს არ აღმოაჩენს, თუ საშობაო სუფრას მხოლოდ გათითებული მივეუძღვებით და სხვებს ლუკმას არ გავუყოფთ, თუ მართო ჩვენს გადარჩენაზე ვიზრუნებთ და სხვებს გადავადვილებთ, საერთოდ დავიღუბებით. როგორც არასდროს, ქართველ კაცს ახლა, სწორედ ახლა სჭირდება სიკეთე და „კეთილი კაცები“. თუ გონება არ მოგვცა უფალმა გადარჩენა არ გვიწერია.“

იტალიაში მყოფი ქართველი ემიგრანტების ტკივილი წამოიღო ბატონმა ზურაბ ლობჯანიძემ. იქნებ, ვიღაცები მივეხმაროთ ამ ტკივილის ტარებაში. უფალო, გონიერება გაუნათე ფულსა და ხელისუფლებას დახარბებულ ქართველებს. ბატონო პრეზიდენტო, ბოდიშს გიხდით, რომ ჩვენი არსებობით გაუწუხებთ.“

ციხანა იობიძე, იტალია, ქ. ბარის

გვჭირდება თუ არა სულონკისი?

პირველი გვერდიდან

უჩა ნანუაშვილი სიცრუეში დაადასტურა თავად ენერგეტიკის მინისტრმა. კახა კალაძის განცხადებით სიმართლეს არ შეესაბამება სახალხო დამცველის ის ბრალდება, რომ თითქოს ენერგეტიკის სამინისტრო და ინვესტორი კომპანია ხაიშის მოსახლეობასთან შეხვედრას თავს არიდებს.

„ყოველთვის, როდესაც გვაქვს საშუალება და მე მიხდება ტელევიზიით გამოსვლა, ვცდილობ, მარტივად ავუხსნა საზოგადოებას თუ რა მინი-

ენლობა აქვს ხულონის პროექტს,“ — განაცხადა ტელეკომპანია „კავკასიის“ ეთერში კახა კალაძემ და დასძინა: „ჩვენ მზად ვართ დიალოგისთვის ადგილობრივ მოსახლეობასთან. ძალიან ხშირია განცხადებები, თითქოს სამინისტრომ და ინვესტორმა უარი განაცხადეს ადგილობრივ მოსახლეობასთან შეხვედრაზე. ეს არის სიცრუე, სრული პასუხისმგებლობით მინდა გავაკეთო ამასთან დაკავშირებით განცხადება.“ ენერგეტიკის მინისტრი უახლოეს მომავალში ადგილობრივ მოსახლეობასთან შეხვედრას და მათთვის ხელსაყრელი პირობების შეთავაზებას

აპირებს: „რაც შეეხება საბოლოო პაკეტს, რომელიც წარმოდგენილი უნდა იყოს ადგილობრივ მოსახლეობისთვის, მათ უნდა გავაცნოთ, თუ რა იქნება თანხა იმისთვის, რომ მოხდეს ამ ადამიანების განსახლება. ჩვენ არ ვამბობთ იმას, რომ აი, მივცეთ ამ ადამიანებს რაღაც გარკვეული დიდი ანაზღაურება და წავიდნენ და სვანეთი დატოვონ. პირიქით, ჩვენ ვეუბნებით, რომ იქვე გამოინახება ტერიტორია, თუ მათ ამის სურვილი ექნებათ, რა თქმა უნდა, ჩვენ იქვე შეგვეძლება ერთი პატარა სოფელი ავაშენოთ, ხაიშში, რომე-

ლიც ინფრასტრუქტურულად ძალიან გამართული და ყველანაირად მოწყობილი იქნება. ასევე ადგილობრივ მოსახლეობას საშუალება ექნება, ამ პროექტის განხორციელებაში მიიღოს მონაწილეობა. პროექტის დასრულების შემდეგ კი მათ ექნებათ მუდმივი სამუშაო ადგილები.

„ეს არის უპრეცედენტო ინვესტიცია და ძალიან მნიშვნელოვანი პროექტი საქართველოსთვის, როგორც ეკონომიკური, ისე ენერგოდამოუკიდებლობის ზრდის თვალსაზრისით“ — აცხადებს „საქართველოს ინფრასტრუქტურული პროექტების ინიციატივის“

ერთ-ერთი ხელმძღვანელი ლევან კალანდაძე. მისივე თქმით, აღნიშნულ პროექტზე ძალიან მნიშვნელოვანია, ქვეყანაში სწორი აქცენტი გაკეთდეს და მოსახლეობამდე სწორი ინფორმაცია მივიდეს. გასათვალისწინებელია, რომ ეს არის უპრეცედენტოდ დიდი ინვესტიცია საქართველოს ბოლო წლების ისტორიის განმავლობაში, რომელიც 1 200 000 000 დოლარის ინვესტიციას მოიცავს. საჭიროა, რომ საზოგადოება მაქსიმალურად ჩაერთოს ამ პროექტის განხილვაში.

სოფია პაპაშვილი

2014 წლის 7 თებერვალს სოჭის ზამთრის ოლიმპიური თამაშების ოფიციალურად გაიხსნა. ცერემონია სიმბოლურად 20:14 საათზე დაიწყო. ოლიმპიურ მოედანზე 101 ქვეყნის წარმომადგენლები გავედნენ, მათ შორის — ქართველი სპორტსმენებიც.

ოლიმპიადამი სულ ოთხი ქარ-

ქართველები სოჭის ოლიმპიადაზე

თველი სპორტსმენი მონაწილეობს. მათ შორის სამი მოთხილამურე: ნინო წიკლაური, იასონ აბრამაშვილი, ალექსი ბენიაიძე. მოციგურავე ელენე გელდევანიშვილი ოლიმპიურ

ნაკრებს სოჭში მოგვიანებით, კანადიდან შეუერთდება. სოჭში უკვე იმყოფებიან საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტი და გენერალუ-

რი მდივანი. ოლიმპიურ თამაშებზე პირველად ასპარეზობაში მოთხილამურეები ჩაერთვებიან, ხოლო ნინო წიკლაური, 18 თებერვალს, შეეცდება თავისი საუკეთე-

სო შედეგის ჩვენებას. რუსეთის პრეზიდენტის პრეს-სამსახურის უფროსმა განაცხადა, რომ შესაძლოა, სოჭში საქართველოს პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინს შეხვედროდა. თუმცა, ეს ინფორმაცია არ დადასტურდა.

შანა ჯანალიძა



ზუსტად 95 წლის წინ, ქართულმა ჯარმა სოჭი დატოვა

ასე დასრულდა საქართველოს მთავრობის უკანასკნელი მცდელობა, საუკუნეების შემდეგ, სოჭის ტერიტორია დაებრუნებინა

1918 წლის ივლისი, სოჭში შესულ ქართულ არმიას ქალაქის მოსახლეობა ესალმება.

თბილისი — დღეს, სოჭში, ზამთრის ოლიმპიური თამაშების ოფიციალური გახსნის დღეს, ზუსტად, 95 წელი შესრულდა რაც, საქართველოს ჯარს სოჭის დატოვება მოუხდა. ეს 1919 წლის 7 თებერვალს მოხდა.



1918 წელი. ივლისი. სოჭში შესულ ქართულ არმიას ქალაქის მოსახლეობა ესალმება

თვის იოლი გასეირნება არ ყოფილა. სხვათა შორის, ტამანის წითელი არმიის ნაწილები, რომლებიც ტუაფსეში იყვნენ გამაგრებული, საბჭოთა ხელისუფლების დროს ლეგენდარული შარავანდით იყო შემოსილი. ხაზს უსვამდნენ, რომ ქართველებს ტამანის წითელი არმია ებრძოდა და ამაზე ფილმიც კი არის გადაღებული“ (ეფემ ძიგანის ფილმი „Железный поток“ (1967) - p.0).

სოჭზე ქართული ნაწილების შეტევას წინ უსწრებდა ვითარების უკიდურესი გამწვავება აფხაზეთში: ბოლშევიკური აჯანყება და სოხუმის დაკავება 1918 წლის მარტში. ასევე, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება 1918 წლის 26 მაისს. საინტერესოა, რომ აფხაზმა არისტოკრატებმა, რომელთა დიდი ნაწილი არცთუ მეგობრულად იყო განწყობილი, აფხაზეთის ბოლშევიკებისგან გაწმენდა სწორედ მენშევიკურ თბილისს სთხოვა. ქართულმა გვარდიამ, ვალიკო ჯუღელის მეთაურობით, 16 მაისს ბოლშევიკები ჯერ სოხუმიდან, შემდეგ კი გულაუთიდან და ახალი ათონიდანაც გაყარა. თუმცა, დღემდე ბოლშევიკთა აჯანყების გამო (18-28 ივნისი, 1918), გვარდიის ნაწილი აფხაზეთიდან მალევე მოიხსნა და აღმოსავლეთ საქართველოში იქნა გადასროლილი. ამის გამო გულაუთა და ახალი ათონი ისევ ბოლშევიკთა ხელში აღმოჩნდა. 1918 წლის 18 ივნისს, მენშევიკური თბილისის გადაწყვეტილებით, აფხაზეთის გუბერნატორად გენერალ-მაიორი გიორგი მაზნიაშვილი დანიშნა. აფხაზეთში კი საქართველოს რეგულარული სამხედრო ნაწილები იქნა გადასროლილი. უკვე

22 ივნისს, მაზნიაშვილმა ბრძოლებით დაიბრუნა გულაუთა, 28 ივნისს — ვაგრა და მალევე მიადგა მდინარე ფსოუს. იმავე დღეებში, აფხაზეთის ეროვნულმა კრებამ, ვლადიმერ შერვაშიძის მეთაურობით, წერილობით ითხოვა, რომ „ბოლშევიკური ანარქიის“ და ეკონომიკური კრიზისის დასაძლევად, რაც ბოლშევიკების მიერ ტუაფსეს პორტის დაკავებამ გამოიწვია, ასევე „ისტორიული მიწების დაბრუნების მიზნით“, ქართულ ჯარს სოჭი და ტუაფსე დაეკავებინა.

ქართველთა დასახმარებლად აფხაზეთში 300-კაციანი ცხენოსანთა კავალერიაც კი გამოყვავდა. ამ დროს, საქართველოს ტერიტორიაზე უკვე განლაგებული იყო გერმანიის 3000-კაციანი საექსპედიციო კორპუსი, გენერალ ფრიდრიხ კრეს ფონ კრესენშტაინის ხელმძღვანელობით, რაც კიდევ უფრო აძლიერებდა ახლაგზრდა ქართულ რესპუბლიკის სამხედრო პოზიციებს. 27 ივნისს, ქართველებმა გაანადგურეს თურქეთის სამხედრო დესანტი მდინარე კოდორთან, რომელსაც აფხაზეთის ეროვნული კრების მტრულად განწყობილი ნაწილი უჭერდა მხარს. უკვე 29 ივნისს, ქართველებმა 400 რუსი სამხედრო განადგურეს და დაიკავეს ადლეური. 5 და 6 ივლისს ბრძოლით შევიდნენ ხოსტასა და სოჭში. მომდევნო 20-დღიანი გააფრთხილებული ბრძოლების შემდეგ, გენერალმა მაზნიაშვილმა უმძიმესი დანაკარგები მიაყენა წითელი რუსეთის 4000-კაციანი სამხედრო დაჯგუფებას, გენერალ ანტონოვის მეთაურობით და 26 ივლისს აიღო ტუაფსე. ქართველებს ხელში ჩაუვარდათ გემები, სამხედრო მატარებლები, ქვეშეხები, ტყე-

ამდრქვევები და უამრავი ტყვე. გერმანიის მხარდაჭერით, მენშევიკური თბილისი მაიკოპის აღებას ემუშავებოდა. ქართველებმა ბოლოს ტუაფსიდან 140 კილომეტრით მოშორებული ბელორეჩენსკიც აიღეს, აქედან მაიკოპამდე სულ 25 კილომეტრი იყო დარჩენილი. მაიკოპში იმ დროს ხორბლისა და ნავთობის დიდი მარაგი არსებობდა.

ნიშანდობლივია, რომ ქართველთა სამხედრო წარმატებამ ერთნაირად გააღიზიანა წითელი და თეთრი რუსეთი, რომლებიც ერთმანეთს გააფრთხილეს ებრძოდა. 1918 წლის 1 სექტემბერს, ტამანის წითელ არმიასთან შეტაკების შემდეგ, ქართველებმა ტუაფსე დათმეს, 1919 წლის თებერვალში კი თეთრი რუსეთის ლეგენდარულ ფიგურასთან — ანტონ დენიკინთან დაპირისპირების შემდეგ — სოჭის და ვაგრის დათმობაც მოვიხსნა. ქართველთა დამარცხებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა გეოპოლიტიკურმა ცვლილებებმა. 1918 წლის ნოემბერში, თბილისის მთავარი მოკავშირე გერმანია პირველ მსოფლიო ომში დამარცხდა და იძულებული გახდა საქართველოდან ჯარები გაეყვანა. გერმანია დიდმა ბრიტანეთმა შეცვალა, აქ საკუთარი ჯარები შემოიყვანა, თუმცა პატარა საქართველოს ინტერესები ბოლომდე ვერ დაიცვა (განსაკუთრებით ლონდონის მოკავშირე დენიკინთან მოლაპარაკების დროს — p.0).

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო 1918 წლის დეკემბერში, სომხეთ-საქართველოს ომი, რის გამოც თბილისს ჯარების გადაჯგუფება მოუხდა. ასევე თურქეთის შემოჭრა აწყურბორჯომის მიმართულებით. მენშევი-

კურ საქართველოს სოჭის ფრონტზე, დენიკინთან საბრძოლველად სამხედრო რესურსი უზარალოდ აღარ იყო. ისტორიკოსი სიმონ კილაძე მსჯელობს 1918 წელს, სოჭისა და ტუაფსეს დაკავებით, მენშევიკურმა თბილისმა რამდენად მოახერხა საკუთარი სტრატეგიული მიზნების გადაჭრა.

„ეს იყო მაინც თვალსაშენი გამარჯვება. სტრატეგიული თვალსაზრისით, თავად გენერალი მაზნიაშვილიც მიიჩნევდა, რომ ძალიან ღრმა არ უნდა წაგვეწია წინ და ჩრდილოეთ კავკასიაში არ უნდა გადავსულიყავით. ტუაფსე არ უნდა დაგვეკავებინა და გაგზავნილიყავით უნდა სოჭთან. მისი შენარჩუნება უფრო ადვილი იქნებოდა.“

შესაბამისად, შეიძლება ვთქვათ, რომ სამხედრო პოლიტიკური თეატრის ცვლილებებმა ჩვენ იძულებული გაგვხადა უკან დაგვეხილა და რაც გვჭონდა ისიც დაგვარევა.“

7 თვის განმავლობაში, როცა სოჭის ოლქი საქართველოს იურისდიქციაში იყო მოქცეული (1918 წლის ივლისი — 1919 წლის თებერვალი) თბილისმა რამდენიმე მილიონი მანეთი გადაიტაცა სოჭის ბანკში; საქართველოს განათლების სამინისტრომ 100 ათასი მანეთი გამოყო სოჭის სკოლების დასაცავად. დაიწყო მომზადება აგრარული რეფორმის განსახორციელებლად. სოჭის ქართული ადმინისტრაცია და სამხედრო შტაბი სანატორიუმ „კავკასიის რივიერაში“ მუშაობდა (ეს სანატორიუმი 2013 წელს დაანგრიეს — p.0), საქართველოს მთავრობის პირველი რწმუნებული სოჭის ოლქში გივო ანჯაფარიძე იყო, უკანასკნელი კი მურზან ხოჭოლავა. პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე, რომელიც 1919 წლის 18 იანვარს დაიწყო, საქართველოს მენშევიკური მთავრობა ძველი რუქების წარდგენით ამტკიცებდა, რომ სოჭის ოლქი საქართველოს ისტორიული ტერიტორია იყო და საქართველო-რუსეთის საზღვარი, ტუაფსედან 14 კილომეტრში, მდინარე მაკოფსეზე უნდა გაველხულიყო, თუმცა ამავალ სოჭის ოლქის დაკარგვის შემდეგ, ქართულმა ჯარმა კონტრიბუტით, მხოლოდ ვაგრისა და ვანთაიდის (ყოფილი პილენკოვო, ახლანდელი ცანდრიფში - p.0) დაკავება შეძლო და მდინარე ფსოუსა და მდინარე ბზიფს შორის არსებული ტერიტორია დაიბრუნა, რომელიც 1904 წლიდან, რუსეთის შავი ზღვის გუბერნიის საზღვრებში იყო მოქცეული.

ზაზა ნულაძე „ამერიკის ხმა“

კვირის პროგნოზი

ვერდი: უმჯობესია, ნერვებს გაუფრთხილდეთ, რადგან ის დაგჭირდებათ ოჯახში ბავშვებთან ან ასაკოვან ნათესავებთან ურთიერთობისას.

კურო: თუ საკუთარი თავის წარმოჩენას გეგმავთ, საგულდაგულოდ შეარჩიეთ ადგილი და დრო ამისათვის, ვინაიდან ძალიან საწყენი იქნება თუ თქვენი ძალისხმევა შეუღმნეველი დარჩება.

ტუშები: ეს კვირა ნაკლებპრობლემური იქნება. ეცადეთ, ცხოვრებისა და საქმიანობის ანალიზი გააკეთოთ, რაც მომავალში ისევ თქვენ დაგეხმარება.

კირჩხიბი: ოჯახური საქმეები ლამის მთელ კვირას წაგართმევთ. თუმცა ცოტას ამოსუნთქავთ. ყველა საქმეში წარმატება გელით.

ლომი: ეცადეთ, არაფერი დაგეგმოთ. არ მოუსმინოთ ჭორებს, რადგან შეიძლება გული გეტკინოთ. ეცადეთ, რომ დამთმობი იყოთ, ეს საქციელი წინ წაგწევთ პირად ცხოვრებაში.

ქალწული: ეს კვირა სახარბიელოა მოგზაურობისა და შოპინგებისათვის. ეცადეთ დრო მეგობრების გარემოცვაში გაატაროთ. შესაძლებელია შეხვდეთ ადამიანს, რომელსაც თქვენს დარჩენილ სიცოცხლეს დაუკავშირებთ.

სასწორი: დრო დასვენებისათვის გამოიყენეთ, წარმატება გელით ინტელექტუალურ საქმიანობაში. სირთულეები სასიყვარულო ურთიერთობებშია მოსალოდნელი. უაზრო კონფლიქტებმა შესაძლოა, პრობლემები შეგიქმნათ.

მორიელი: ფინანსურ საკითხებში პრინციპულობა გამოიჩინეთ. პარტნიორებთან ურთიერთობისას კი ეცადეთ, მათი აზრიც გაითვალისწინოთ. ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ პრობლემას მალე მოაგვარებთ.

მშვილდოსანი: ფიზიკური დატვირთვა ნამდვილად წაადგება თქვენს ჯანმრთელობას.

თხის რქა: მოგიწევთ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება, რომლის მიღებასაც უკვე დიდი ხანია თავს არიდებთ. ყველაფერი რომ დამთავრდება, სიამაყეს იგრძნობთ თქვენი საქციელის გამო.

მერწყული: ისეთი რამ შეიძლება მოხდეს, რის გამოც მეგობრების დახმარება დაგჭირდებათ. არ მოგერიდოთ, მიმართეთ მათ და პრობლემა რამდენიმე წუთში გადაწყდება.

თევზები: მოთმინების უნარს დაკარგავთ, გააკონტროლოთ თავი, არ გააკეთოთ ისეთი რამ, რაც მერე სანანებელი გაგიხდება.

წინა ნომრის კროსვორდის პასუხები
თარაზულად: 3. სირტაკი; 5. უნაბი; 6. ალო; 8. ვაი; 9. მედეა; 11. ინლაური.
შეფულად: 1. არუბა; 2. შატ; 3. სანგარი; 4. ინლოეთი; 7. გენუა; 10. ილა.

Table with 10 columns and 10 rows for crossword puzzle answers. Includes words like 'სირტაკი', 'უნაბი', 'ალო', 'ვაი', 'მედეა', 'ინლაური', 'არუბა', 'შატ', 'სანგარი', 'ინლოეთი', 'გენუა', 'ილა'.

სხეულის ენა, ანუ როდის სურთ თქვენი მოკვლა, ან - თქვენთან სექსი?

ბოლო პერიოდში სხვადასხვა ფსიქოლოგიური სკოლა გასაოცარ ინფორმაციებს აქვეყნებს. ერთ-ერთი ფსიქოლოგის მოსაზრება ასეთია: თუ ადამიანი 6 წამზე მეტხანს გიყურებს თვალებში, მას თქვენი ამ მოკვლა სურს, ან კიდევ თქვენთან სექსი!

ბუნებრივია, ამის პრაქტიკაში „გასინჯვა“ ურთულესია! სამაგიეროდ, უკვე დასავლურ ფსიქოლოგიურ სკოლებში გამართულად საუბრობენ ე.წ. „სხეულის ენაზე“, რომელიც ზედმიწევნით გასათვალისწინებელია პოლიტიკოსებისათვის და საზოგადოებასთან აქტიურად კონტაქტში მყოფი პირებისათვის.

სხეულის ენის შესახებ გვესაუბრა ქართველი ფსიქოლოგი, ამჟამად გერმანიაში მოღვაწე სოფო ხარატი.

„ძალიან არ მომწონს ის ადამიანი, ან პირიქით — ძალიან მომწონს... მაგრამ შეიძლება უცებ გაიგონო კითხვა: რა იცი, შენ ხომ მას საერთოდ არ იცნობ? ეს სიტუაცია ძალიან ბევრისთვის კარგად ცნობილია და, ალბათ, ყველას მოსვლია ერთხელ მაინც ცხოვრებაში,“ — ამბობს ფსიქოლოგი მონიკა მაჩიგო.

როცა უცხო ადამიანი ძალიან გესიმათიურება, ან პირიქით, არ გსიამოვნებს მასთან შეხვედრა, ჩვეულებრივი რამეა, მაგრამ რატომ ხდება ასე? ეს ძალიან ბევრ ჩვენგანს უნდა, რომ გაიგოს.

სანამ სხვა ხმას ამოიღებს, მანამდე ხდება ჩვენს გონებაში, წამების განმავლობაში წარმოდგენა იმ ადამიანზე. არსებობს

რალაც, რაც არაცნობიერზე ძალიან დიდ გავლენას ახდენს და იწვევს ან უარყოფით, ან დადებით ემოციას.

როგორ დადინარ, როგორ დგახართ, ან როგორ ზიხართ, თქვენი ტანსაცმელი, თქვენი სახის გამომეტყველება, მიმიკები და სახის გამომეტყველება, — ეს ყველაფერი არის არაფერბალური სიგნალები, რომელსაც თქვენ ირგვლივ მდგომი ადამიანები, ხან გაცნობიერებულად, ხანაც გაუცნობიერებლად პირდაპირ აღიქვამენ და ეს ინფორმაცია თქვენზე დიდი ხანი ინახება მათ გონებაში.

ჩვენ ვიცით, როცა ჩვენ უცხო ადამიანს პირველად ვხვდებით, 100 მილიარდი ნერვული უჯრედი აქტივირდება. ადამიანის ავტომატური სკანერი, რომელიც ტვინშია მოთავსებული, იღებს უცხო პიროვნებიდან ინფორმაციას, ასკანერებს და ინახავს რომელიმე ტვინის „უჯრამში“. ეს პროცესი გრძელდება რამდენიმე მილიწამის განმავლობაში და ამის შემდეგ აღვიქვამთ იმ ადამიანის სახის ემოციას და სქესს.

შემდეგი პროცესი, თუ ის ადამიანი კიდევ დგას ჩვენს წინ, დაახლოებით, 150 მილიწამის განმავლობაში გრძელდება სკანირების პროცესი და პირვე-

ლად დგინდება, არის თუ არა ის ადამიანი სიმპათიური ჩვენთვის. შემდეგ კი, თუ ეს პროცესი ზედმეტად ეგოისტურად განვითარდა, ხშირად ისმის შინაგანი კითხვა — ეს ადამიანი არც ისე ცუდი ყოფილა, როგორც მამინ ვფიქრობდი...

სხეულის ენის მნიშვნელობის პირველი ყველაზე მარტივი მაგალითია, თუ რა გავლენა აქვს ღიმილს და არსებობს თუ არა ნამდვილი და ე.წ. ყალბი ღიმილი, ან რა განსხვავებაა მათში.

დამერწმუნეთ, ვერავინ ვერ დაინახავს, ადამიანი გულში როგორ იღიმი.

ამიტომ ყველა ჩვენგანს გამოადგება, იცოდეს მარტივი გაკეთილი, რა განსხვავებაა ამ ორ ღიმილს შორის.

ადამიანის ნამდვილი ღიმილი იწყება თვალებიდან და გრძელდება ტუჩებით, რაც უფრო მეტი ნაოჭია ადამიანის თვალების ირგვლივ, მით უფრო ნატურალურია მისი ღიმილი.

რაც შეეხება არაბუნებრივ ღიმილს, იგი მხოლოდ გაღებულ პირით შეიმჩნევა. მეცნიერებმა უკვე დიდი ხნის წინ დაადგინეს, რომ სიცილი ამარტო ვებს კონტაქტებს, კარიერაში წინსვლას

და, უბრალოდ, შენ თვითონ გაძლევს უფრო მეტ დადებით ენერჯიას.

ასე რომ, გაიცინეთ უფრო მეტი... პირველი შეხვედრა და შთაბეჭდილება გადამწყვეტია, მაგრამ ბოლო რჩება ეხსიერებაში. სხეულის ენა არც თუ ისე დიდი ხანია, გამოვიდა მზის შუქზე და უფრო ცოტა ხანია, ითვალისწინებენ მას ჩვეულებრივი ადამიანები იმიტომ, რომ ძალიან ცოტას თუ ესმის, რამდენად მნიშვნელოვანია ამა თუ იმ გამოსვლის დროს დაიცვა წესები.

ანუ, როცა შენ დგახარ „სცენაზე“, არ გაქვს ყველაფრის გაკეთების უფლება, თუნდაც მოიქცე ისე, როგორც იქცევინა „ჩვეულებრივი“ ადამიანები. წარმოიდგინეთ, რამდენად შეუსაბამო იქნებოდა რომელიმე ქვეყნის პრეზიდენტი, გამოდიოდეს ოფიციალურ შეკრებაზე და ეცვას სპორტული ტანსაცმელი, ან ლაპარაკობდეს რეპერის შესტებით.

სხეულის ენა, მიმიკები, ყესტები ნაწილია იმიჯის, რომელიც საოცარ გავლენას ახდენს ადამიანის არაცნობიერზე. მათი მეშვეობით იპყრობენ პოპულარული ადამიანები სცენებს, ხალხის გულს ისე, რომ, შესაძლოა, ამ პოპულარულ ხალხში ისეთი არაფერი იდოს, რომ ვინმე ჩვეულებრივ სტუდენტს აჯობოს, მაგრამ მან კარგად იცის ის წესები, რომლებიც ყველაზე დიდ გავლენას ახდენენ მასზე.

როლანდ ნოჯანაშვილი

psnews.ge



Large crossword puzzle grid with 10 columns and 10 rows. Includes clues in Georgian and some pre-filled letters.

პინ აკის უომოზე? პასუხი წინა ნომრის ფოტო-ვიპტორინაზე. სამწუხაროდ, „ოცნების“ ცნობილი სახე — მანანა კობახიძე — უცნობი აღმოჩნდა ჩვენი მკითხველისათვის.

რას დააჩქევით? პასუხი წინა ნომრის ფოტო-ვიპტორინაზე. ალანა ბაღვაშიანი და გივი შალვაია. დაგვიკავშირდით: (0 431) 24-45-46, 24-82-25. psnews27@gmail.com

კარსკორდი

პორიზონტალურად: 3. ბერძნული ცეკვა; 5. სუბტროპიკული კურკიანი ხილი; 6. ქალაქი ნიგერიაში; 8. მადონას ერთ-ერთი ქმარი ... რიჩი; 9. აიეტის ქალიშვილი; 11. შინაური ფრინველი. ვერტიკალურად: 1. ნიდერლანდების კუნძული საზღვარი; 2. მდინარე ერაყში ... ელ-არაბი; 3. თავშესაფარი თბილისი ფრონტის ხაზზე; 4. ქვეყანა აზიაში; 7. ქალაქი და ნავსადგური იტალიაში; 10. მწვერვალი საბერძნეთში (2456 მ.).

